**2021 წლის ნახევარწლიური**

**მმართველობითი ანგარიშგება**

# შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

## სარჩევი


შესავალი...3

1. საქმიანობის მიმოხილვა...4

   1.1. კომპანიის შესახებ...4

   1.2. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები...5

   1.3. ფინანსური მდგომარეობა...14

   1.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები...17

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება ...19

2.1. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი ...19

   2.2. ფინანსური ანგარიშგების პროცედურები და რისკის მართვა ...24

3. არაფინანსური ანგარიშგება ...25

   3.1. ბიზნეს პროცესები და პოლიტიკა ...25

   3.2. ჩვენი გუნდი ...30

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის ძირითადი საქმიანობის, არსებული ფინანსური მდგომარეობის და მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიმოხილვას, საოპერაციო შედეგების და კომპანიის ზოგადი სტრატეგიის და მიზნების მიმოხილვას. ასევე დოკუმენტში მოცემულია მნიშვნელოვანი რისკები, რომლებმაც შეიძლება მოახდინოს გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია კომპანიის მმართველი რგოლებისა და მართვის სისტემების დეტალური განხილვა. ასევე ბიზნეს პროცესების და მნიშვნელოვანი მიმართულებების მართვის პოლიტიკის და პროცედურების განხილვა.

*მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ინფორმაცია მოიცავს ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ფინანსურ შედეგებს. ასევე ფინანსური ინფორმაციის განხილვის სექციაში მოცემული ფინანსური მაჩვენებლები ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებს, რადგანაც შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის შვილობილი კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები არის უმნიშვნელო.*

## 1. საქმიანობის მიმოხილვა

### 1.1. კომპანიის შესახებ

კომპანია 2001 წელს დააარსა „თბილუნივერსალბანკმა“ და პირველი ქართული კომპანია იყო, რომელმაც ლიზინგის მომსახურების სახით მსურველებს დაფინანსების ალტერნატიული წყარო შესთავაზა სესხებისგან განსხვავებით. 2005 წელს ის საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია გახდა ორი ბანკის შერწყმის შედეგად. 2015 წლის აგვისტოში, რეორგანიზაციის შედეგად, სს "ბიჯი ფაინენშელი“ გამოეყო სს "საქართველოს ბანკს" და შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანიის" 100% -იანი წილის მფლობელი გახდა. 2017 წლის ივნისში კომპანიის 100% წილი სს „საქართველოს ბანკმა“ გადაიფორმა.

2015 წლის აპრილში კომპანიამ იყიდა შპს „პრაიმ ლიზინგის“ 100% იანი წილი, რომლის სალიზინგო პორტფელი დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენდა. პორტფელის გადაწერა ეტაპობრივად ხდებოდა საქართველოს სალიზინგო კომპანიის ბალანსზე. დღეისთვის პრაიმ ლიზინგის პორტფელი განულებულია.

ანგარიშგების მომენტისთვის კომპანიაში დასაქმებულია 79 თანამშრომელი ჰყავს. აქედან 11 თანამშრომელი „ტურბოს“ ოფისებშია გადანაწილებული თბილისში, რუსთავში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში. კომპანიის მთავარი მომხმარებლები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საცალო მომხმარებლები არიან, მას ჰყავს, აგრეთვე, რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი. კომპანიის პროდუქცია დიფერენცირებულია და ერგება როგორც კორპორატიული, ისე საცალო პირების მოთხოვნილებებს.

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:




2018 წლის 29 მაისს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული „ბიჯეო ჯგუფი“ ორად გაიყო. გაყოფის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე ორი საჯარო კომპანიის აქციები არის სავაჭროდ დაშვებული - „საქართველოს ბანკის ჯგუფისა“ და „საქართველოს კაპიტალის“.

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ გაუკეთებია R&D მიმართულებით რაიმე პროექტი.

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

**ფინანსური პროდუქტების ზოგადი მიმოხილვა**

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა სეგმენტზე. კომპანიას სპეციფიკური პროდუქტები აქვს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, ასევე მცირე, საშუალო და მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირებისთვის. მაგალითად, 2015 წელს კომპანიამ შპს „კავკასუს ავტო იმპორტთან“ თანამშრომლობით შეიმუშავა საკმაოდ ხელსაყრელი პროდუქტი მეორადი ავტომობილების მომხმარებლებისათვის. 2017 წლის სექტემბრიდან, კომპანიამ დაიწყო კიდევ ერთი პროდუქტის შეთავაზება დაბალშემოსავლიანი სეგმენტისთვის „ტურბოს“ ბრენდის სახელით - ლომბარდული ტიპის დაფინანსების სახით. კომპანიის მიერ შეთავაზებული ფინანსური პროდუქტი მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

## 1.2. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

### ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

**კომპანია მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს თავისი საქმიანობისთვის და შესაძლებელია ვერ შეძლოს დროულად საჭირო თანხების მოძიება**

კომპანიის ბიზნესი აქტივების ზრდაზეა დაფუძნებული (შემოსავლის ზრდის აუცილებელი ფაქტორია აქტივის ზრდა, რაც გამოწვეულია სალიზინგო პროდუქტების რეალიზაციით), რაც მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდის შესანარჩუნებლად და ოპერაციების და ვალების დასაფინანსებლად. კომპანიას დავალიანების ძირითადი თანხისა და პროცენტების დასაფარად მსხვილი თანხების გადახდა უწევს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია საკმაოდ დიდ თანხებს გამოიმუშავებს სალიზინგო ოპერაციებით, ნაღდ ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილება გრძელვადიან პერსპექტივაში ითხოვს საგრძნობ ლიკვიდურობას და სტაბილურ წვდომას სხვადასხვა ფინანსურ წყაროზე. კომპანია ოპერაციებისა და საქმიანობის გაფართოების დასაფინანსებლად ძირითადად საბანკო კრედიტებს, გამოშვებულ ობლიგაციებსა, საწესდებო კაპიტალში ფულად შენატანებსა და ბიზნესოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებს. თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს დაფინანსების არსებულ სქემას კომერციულად მისაღები პირობებით, მას შესაძლოა დასჭირდეს დაფინანსების მოძიება ალტერნატიული წყაროებიდან. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია დროულად შეძლებს დაფინანსების მოძიებას ახალი წყაროებიდან მისაღები პირობებით, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

**კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს დავალიანებების დაფარვა და შესაძლოა მოუხდეს უფრო მეტი ვალის აღება**

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ბიზნესი აქტივების ზრდაზეა დაფუძნებული, და აღნიშნული ძირითადად სესხით ფინანსდება, კომპანიას მოუწევს დავალიანების მაჩვენებლის შენარჩუნება მაღალ ნიშნულზე. 2021 წლის 30 ივნისისთვის, კომპანიის სასესხო ვალდებულებები 139,672 ათას ლარს შეადგენდა. ამ თარიღებში კომპანიის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (სასესხო ვალდებულებებს მინუს ფული და ფულადი ექვივალენტები, შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან) 3.6x იყო. ზოგიერთ ფინანსურ გარიგებაში კრედიტორები უფლებამოსილები არიან, კომპანიას ვალების გადახდა ვადამდე მოსთხოვონ, თუ წინსწრებით გადახდის ვალდებულება გაჩნდება, როგორიცაა გარკვეული რეგულაციური მაჩვენებლების დარღვევა, განსაზღვრული ვალი/უზრუნველყოფის ღირებულების თანაფარდობის ან უიმედო აქტივების წილის მისაღები დონის შეუსრულებლობა. არ არსებობს გარანტია, რომ მსგავსი შემთხვევები არ მოხდება. წინსწრებით გადახდის ვალდებულება შეამცირებს კომპანიის სამუშაო კაპიტალს და ლიკვიდურობას და, შესაბამისად, ნეგატიურ გავლენას მოახდენს მისი დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

მიმდინარე ვალების, საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებისა და ბიზნესის გაფართოების მიზნით ფულადი სახსრების ადეკვატური დონის შესანარჩუნებლად კომპანიას დასჭირდება დამატებითი თანხების მოძიება ბანკებისგან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს დამატებითი თანხების მოძიებას, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და გაფართოების შესაძლებლობებზე.

**არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს ან გააგრძელებს აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დაცვას დავალიანებების ზრდასთან ერთად, რაც ზემოქმედებას მოახდენს ლიკვიდურობაზე და კომპანიის უნარზე, დაფაროს თავისი ვალდებულებები**

კომპანია მუდმივ რეჟიმში ცდილობს, შეუსაბამოს დაფინანსების ვადები (სესხის ვადიანობა) თავის აქტივებს (სალიზინგო დავალიანებები). მიუხედავად ამისა, მან შეიძლება ვერ შეძლოს დავალიანების დაფარვის ვადებისა და ვალდებულებების ეფექტურად დაბალანსება, ან შეიძლება მან ვერ მართოს ლიკვიდურობის რისკები სესხებისა და სალიზინგო აქტივების მხრივ, რაც თავისთავად ლიკვიდურობის დეფიციტს გამოიწვევს და კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ვადამოსული ვალების დაფარვა, რაც არსებითად და უარყოფითად იმოქმედებს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

**საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.**

ვინაიდან ლიზინგიდან მიღებულ კომპანიის შემოსავალზეც და პროცენტებზეც, რომლებსაც ის დავალიანებაზე იხდის, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ახდენს ზეგავლენას, ამ განაკვეთების დიდი ცვალებადობა ბაზარზე პირდაპირ იმოქმედებს დაფინანსების ხარჯებზე, ლიზინგის შემოსავალზე, სუფთა საპროცენტო მარჟაზე და

,თავის მხრივ, გავლენის ქვეშ მოექცევა კომპანიის მომგებიანობის მარჟები და ფინანსური მდგომარეობაც. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომელთა გაკონტროლება კომპანიას არ შეუძლია, მაგალითად, საბანკო და საფინანსო სექტორების ნორმატიული ჩარჩოებით და საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოთი.

## საკრედიტო რისკები

**აქტივების ხარისხის შენარჩუნების უუნარობამ შესაძლოა არსებითი და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.**

საქმიანობის მდგრადობა და სამომავლო ზრდა ძირითადად დამოკიდებულია კომპანიის სალიზინგო აქტივების ეფექტურად მართვასა და მათი ხარისხის შენარჩუნებაზე, რომლის უმრავლესობა შედგება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივებისგან (საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული აქტივები პორტფელის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს). თუ კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების ხარისხი გაუარესდება, ამან შეიძლება კომპანიის საქმიანობასა და საოპერაციო შედეგებზე არსებითი და არასასურველი ზეგავლენა იქონიოს.

კომპანიის მიერ დასაკუთრებული აქტივები შეიძლება გაიზარდოს მისი სალიზინგო აქტივების პორტფელის გაუარესების გამო. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს საკუთარ ბიზნეს მოდელს (აქტივების მართვასა და რისკების მართვას) და იღებს ზომებს  ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივების დონეების შესამცირებლად. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეიძლება მომავალში ეფექტურად ვერ გააკონტროლოს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივები სალიზინგო აქტივების პორტფელში.

მომავალში კომპანიის სალიზინგო პორტფელი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით გაუარესდეს, მათ შორის ისეთი მიზეზებით, რომლებსაც კომპანია ვერ გააკონტროლებს. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური ზრდის შენელება, საკრედიტო კრიზისის განვითარება ქვეყანაში ან არასასურველი საბაზრო ტენდენციები. მიუხედევად იმისა, რომ კომპანიის პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებული და მრავალდარგობრივია, გამომდინარე ლიზინგის მიმღებთა საქმიანობის დარგებიდან, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება იმ დარგებში, სადაც  ლიზინგის მიმღებები საქმიანობენ, შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ ოპერაციებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე, რაც გავლენას მოახდენს მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე და შესაძლოა დეფოლტიც მოჰყვეს. სხვა ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს და შეიძლება ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობაზე აისახოს, მოიცავს:

- საოპერაციო ხარჯების ზრდას;
- სამუშაო ძალის უკმარისობას;
- საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ხარჯების რყევებს;
- ლიზინგის მიმღების სხვა ფინანსურ მხარდაჭერასთან წვდომას;
- ეკონომიკურ პირობებს და სავალუტო რყევებს რეგიონებში, სადაც ლიზინგის მიმღები საქმიანობს;
- კონკურენციას ლიზინგის მიმღების დარგში;
- სამთავრობო რეგულაციებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს, რაც ზეგავლენას ახდენს ლიზინგის მიმღების საქმიანობაზე; და გეოპოლიტიკურ და სხვა სახის მოვლენებს, მათ შორის ომის დაწყებას, ტერორისტულ აქტებს, ინფექციური დაავადებების გავრცელებასა და ბუნებრივ კატასტროფებს.

**კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ან სრულად ვერ მოხდეს მათი რეალიზება.**

კომპანია სალიზინგო აქტივებს განიხილავს როგორც უზრუნველყოფას და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაღალრისკიან შემთხვევებში) მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს უძრავ ქონებას. სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადების არსებითი დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია, განკარგოს/გაყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების დასრულებისას ამოწმებს უზრუნველყოფაში დაგირავებულ ქონებას, მისი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს და არსებითი და უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოექცეს ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა, მიყენებული ზიანი, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან ბაზარზე მოთხოვნის შემცირება.

ანალოგიურად, გარანტორთა ფინანსური მდგომარეობის თუ კრედიტუნარიანობის არსებითმა გაუარესებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს იმ თანხებზე, რომლებიც კომპანიას უნდა ამოეღო შესაბამისი გარანტიებით. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში გარანტორთა ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად არ გაუარესდება ან ისინი არ გაკოტრდებიან.

თუ სალიზინგო აქტივების ფასი, ან დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა თუ გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, არასაკმარისი იქნება გადასახადების დროულად გადაუხდელობით გამოწვეული დანაკარგის ასანაზღაურებლად, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვება ლიზინგის მიმღებებისგან, თავდები პირებისგან ან სხვა წყაროებისგან. ეს უფლება გაწერილია ლიზინგის ხელშეკრულებაში, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას შეძლებს. სალიზინგო აქტივების, ლიზინგის უზრუნველყოფისა და გარანტიების ღირებულების შემცირებამ ან კომპანიის უუნარობამ, მოიპოვოს დამატებითი უზრუნველყოფა, შესაძლოა აიძულოს კომპანია, შექმნას დამატებითი რეზერვები ან ჩამოწეროს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივები, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ლიზინგის მიმღების დეფოლტის შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახდინოს სალიზინგო აქტივების ლიკვიდაცია ან სხვა მხრივ რეალიზება, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ იარსებებს ლიკვიდური ბაზარი შესაბამისი აქტივების რეალიზაციისთვის. ასევე შესაძლებელია, რეალიზაციიდან მიღებული თანხები არ აღმოჩნდეს საკმარისი სალიზინგო ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია უზრუნველყოფის ლიკვიდაციის თუ რეალიზაციის პროცედურები დროში გაგრძელდეს და ეს უზრუნველყოფაც არალიკვიდური აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, რთული იქნება დაკისრებული საზღაურების თუ გირაოს გადახდევინება. 2017 წლამდე კომპანიას არ უწარმოებია პრობლემური აქტივების რეალიზაცია/რელიზინგის ვადების აღრიცხვა. 2017 წლის სტატისტიკით კი აქტივის დასაკუთრებიდან მის გაყიდვამდე/რელიზინგამდე საშუალო მაჩვენებელი 79 დღეა, 2018 წლის სტატისტიკით ეს მაჩვენებელი 85 დღემდე გაიზარდა, 2019 და 2020 წლების ანალოგიური მაჩვენებელი კი 107 იყო. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საშუალოდ აქტივების დასაკუთრებიდან მის გაყიდვამდე/რელიზინგამდე კომპანიას 91 დღე სჭირდება. გარკვეულ გარემოებებში, კომპანიის უფლება, დაისაკუთროს უზრუნველყოფა, შეიძლება სუბორდინირებული იყოს სხვა მხარეების უფლებების მიმართ (მაგალითად ჯვარედინი დეფოლტის შემთხვევაში). ნებისმიერმა გარემოებამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის შესაძლებლობაზე, დროულად ამოიღოს ან საერთოდ ამოიღოს სალიზინგო აქტივების ღირებულება ან ლიზინგის უზრუნველყოფა.

**ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად**

კომპანია ქმნის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება მისი შიდა რეზერვირების პროცედურებისა და სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა ლიზინგის მიმღებების და მათი საქმიანობის სფეროს მახასიათებლები, მათი კრედიტუნარიანობა, ეკონომიკური პირობები და ტენდენციები, გადაცდომები და ძირითადი გირაოს და გარანტიების ღირებულება.

ვინაიდან საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად მომავალი საკრედიტო რისკები გარკვეული პერიოდის განმავლობაში საჭიროებს არსებით განსჯასა და შეფასებას, კომპანიამ შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და ამდენად, რეზერვი შეიძლება არაადეკვატური იყოს ფაქტიური საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. კომპანიის მიერ შექმნილი რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, თუ საქართველოს ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი ან არასასურველი ცვლილებები მოხდება, ან თუ სხვა მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კონკრეტულ ლიზინგის მიმღებზე, დარგზე ან ბაზარზე. ასეთ გარემოებებში კომპანიას შესაძლოა დამატებითი რეზერვი დასჭირდეს თავისი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივებისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის მოგებას და მატერიალურად და უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

### საოპერაციო რისკები

**კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემებს შესაძლოა ჰქონდეთ ნაკლოვანებები, რომლებმაც შეიძლება ეფექტიანად ვერ უზრუნველყონ კომპანიის საოპერაციო რისკების მისაღებ დონეზე შენარჩუნება.**

ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც კომპანიის ბიზნესი განვითარდა და მოიცვა სხვადასხვა დარგი, მისი ბიზნესის მოდელი და რისკებისადმი მიდრეკილება უფრო კომპლექსური გახდა. კომპანია განუხრელად აუმჯობესებს რისკების მართვის სისტემას, მაგრამ რისკების მართვისკენ მიმართულმა ზომებმა შესაძლოა ვერ გამოავლინოს და შეარბილოს ბიზნესის წინაშე არსებული ყველა არსებითი რისკი. ამიტომ, როდესაც კომპანია ახალ დარგში შედის, ახალ მომხმარებლებთან ამყარებს ურთიერთობას ან ახალ პროდუქტებს თუ სერვისებს ავითარებს, მან შესაძლოა ვერ მოახერხოს ყველა მომავალი რისკის ადეკვატურად იდენტიფიცირება და შეფასება, ვინაიდან რისკების მართვის და კონტროლის ზოგიერთ მის მეთოდს საფუძვლად უდევს ბიზნესის ისტორიული გამოცდილება, საბაზრო ქცევა და წარსულში მომხდარი მოვლენები, და ასეთი რისკები შეიძლება ბევრად უფრო დიდი იყოს, ვიდრე კომპანიის ვარაუდები ისტორიული მონაცემების საფუძველზე.

კომპანიის რისკების მართვის სხვა მეთოდები დამოკიდებულია ბაზრებთან, მომხმარებლებთან ან სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე და ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად შეფასებული. გარდა ამისა, კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად, მისი რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკამ შესაძლოა ეფექტიანად ვერ შეამციროს ყველა ტიპის რისკი, მათ შორის მოულოდნელი რისკები და ის რისკები, რომელთა შესახებ კომპანიას არა აქვს ინფორმაცია და რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს უმოქმედო აქტივების კოეფიციენტის ზრდას. ამასთან, საოპერაციო, სამართლებრივ ან ფინანსურ რისკებზე რეაგირებისთვის კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს რიგი სხვადასხვა წესების და პროცედურებისა, რათა ზედმიწევნით დააფიქსიროს და შეამოწმოს ტრანზაქციებისა და მოვლენების დიდი რაოდენობა. ამგვარი წესები და პროცედურები შესაძლოა არ იყოს სრულად ეფექტიანი. ნებისმიერმა წარუმატებლობამ კომპანიის რისკების მართვის პროცედურების სათანადოდ განხორციელებაში ან შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებაში შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

**ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე**

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები მოწყვლადია რამდენიმე პრობლემის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არაავტორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნესოპერაციებზე, როგორიცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაცვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. ბიზნესოპერაციების კომპრომეტირების შემთხვევაში, დაზარალდება კომპანიის რეპუტაცია და შემცირდება კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და კომპანიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები განიცადოს, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

გარდა ამისა, არანაირი გარანტია არ არის, რომ ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, კომპანია შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების და ინფრასტრუქტურის დაგეგმილი განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და საპროგრამო უზრუნველყოფის ადაპტირება, ეს სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

- **კომპანიას აქვს სხვა საოპერაციო რისკები, რომლებიც მის ბიზნეს-საქმიანობასთან არის დაკავშირებული:ერთ კლიენტზე დამოკიდებულების ხარისხი** - 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის პორტფელის 14.9% (31/12/2020: 13.0%) ხუთ კლიენტზეა კონცენტრირებული. კომპანიამ შეიძლება გააზრებულად ან გაუთვითცნობიერებლად (თუ არ იცის ლიზინგის მიმღებებს შორის არსებული კავშირების შესახებ) გასცეს აქტივები ლიზინგით ერთი და იმავე აქციონერის დაქვემდებარებაში არსებული კომპანიების ჯგუფებზე, რითიც კიდევ უფრო გაზარდოს კონცენტრაცია და შესაბამისად პორტფელის რისკიც.
- **სექტორზე დამოკიდებულების ხარისხი** - 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის კორპორაციული პორტფელი შეადგენს მთლიანი პორტფელის 64.7%-ს და ძირითადად კონცეტრირებულია 2 წამყვან (მშენებლობა და მომსახურების სფერო) სექტორზე. იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება კონკრეტულ სექტორზე/სექტორებზე კონცენტრაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მოიმატებს პორტფელის რისკი, რადგან კომპანიის მომგებიანობა დამოკიდებული გახდება კონკრეტულ სექტორზე, ამ სექტორში წარმოქმნილი პრობლებები კი დიდწილად აისახება კომპანიაზეც.
- **კლიენტის შესაბამისობა** - კლიენტებს ან მათ აქციონერებს შეიძლება ჰქონდეთ ცუდი საკრედიტო ისტორია, რომელიც მოიცავს ვადაგადაცილებულ გადასახადებსა და დაუფარავ ვალდებულებებს, რაც მათ კრედიტუნარიანობას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.
- **აქტივების ფასების შეფასების საიმედოობა** - მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუშაობს საიმედო მწარმოებლებთან, პორტფელის აქტივების გარკვეული ნაწილი, მეორადი აქტივებისგან შედგება; უფრო მეტიც, არსებობს შემთხვევები, როდესაც კლიენტს ნაკლებად ცნობილი მწარმოებლის აქტივი სჭირდება, რომელიც მას დაბალ ფასს სთავაზობს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ხდება აქტივის ობიექტური/რეალისტური შეფასება - შეფასება კეთდება კომპანიის შემფასებელთა ჯგუფის მიერ (საოპერაციო მიზნებისთვის). ამ ჯგუფის მიერ დადგენილი ღირებულებები, შესაძლოა არ ემთხვეოდეს აქტივის სამართლიან ღირებულებას რამაც კომპანიას შესაძლოა მოუტანოს ზარალი. გარდა ამისა, კომპანია ჩამოწერილი აქტივების შეფასებას აკეთებს დამოუკიდებელი შემფასებლის მეშვეობით. აქტივების შეფასება ხდება როგორც ჩამოწერის მომენტში, ასევე ყოველი წლის ბოლოს. არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული შეფასება შესაძლოა სრული სიზუსტით არ ასახავდეს აქტივების სამართლიან ღირებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საშემფასებლო საქმიანობა საქართველოში არ რეგულირდება (გარდა კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწერილი რეგულაციის შესაბამისად).
- **გამყიდველის რისკი** - მიუხედავად იმისა, რომ კომპანია აქტივს ყიდულობს მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონე მომწოდებლებისგან, მაინც არსებობს რისკი, რომ გამყიდველმა შეიძლება მიიღოს წინასწარი გადახდა, მაგრამ არ გადასცეს აქტივი კომპანიას ან/და მიაწოდოს აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს შეთანხმებულ პარამეტრებს, რაც სრულად კომპანიის რისკია. კომპანიისთვის ეს რისკი შემოსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, რომელიც მომწოდებლების მიხედვით განსხვავებულია. კომპანიას თითოეულ მომწოდებელთან ურთიერთობა დარეგულირებული აქვს შესაბამისი კონტრაქტებით, თუმცა გარკვეული რისკი (მცირე მასშტაბებით) მაინც რჩება. ისტორიულად კომპანიას 2015 წელს დაახლოებით 635,000 ლარის ოდენობის ხარჯი აქვს აღიარებული (წინასწარ გადახდილი ხარჯების ჩამოწერა). თუმცა მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, აღნიშნული მიმართულებითაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა რისკების მართვის კუთხით და 2016 ეს ხარჯი დაახლოებით 136,800 ლარამდეა შემცირებული, 2019 წელს განხორციელდა 340,818 ლარის ოდენობის ხარჯად აღიარება. აღნიშნული ხარჯი დაკავშირებული იყო 2014 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან). 2020 და 2021 წლებში კომპანიას მსგავსი ხარჯი არ ჰქონია. ამ გაუმჯობესების მიუხედავად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანიას მომავალში მსგავსი ტიპის ხარჯები არ წარმოეშვება.

- **იურიდიული / საპროცესო რისკი** - კომპანიის თანამშრომლებმა შეიძლება შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას ან მომხმარებლისათვის აქტივის გადაცემისას სხვა საკითხებთან ერთად.
- **კლიენტის თაღლითობის რისკი** - კლიენტს შეუძლია გააყალბოს ფინანსური უწყისები და არასწორი ინფორმაცია წარმოადგინოს კლიენტის ზომის, მასშტაბის და შესაძლებლობების შესახებ.

**კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, რომ დაფაროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები**

კომპანია, როგორც წესი, ლიზინგის მიმღებებისგან მოითხოვს, რომ ლიზინგის კონტრაქტების ფარგლებში აუნაზღაურონ და დააზღვიონ ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას სალიზინგო აქტივების გამოყენების და მათი ექსპლუატაციის, აგრეთვე ქონებისთვის მიყენებული ზიანის და დაკარგვის გამო. კომპანიის ლიზინგის მიმღებები ვალდებულები არიან, კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად შეიძინონ დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან. სადაზღვევო პოლისი ლიზინგის კონტრაქტის იდენტური ვადიანობის უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტების გაფორმებისას კომპანიამ შესაძლოა შეზღუდოს სალიზინგო ქონების გამოყენება (მაგალითად, გეოგრაფიულად), რათა თავიდან იქნეს აცილებული მომავალი რისკები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მომავალში კომპანიას არ შეეხება სალიზინგო აქტივებიდან გამომდინარე პრეტენზიები.

არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ლიზინგის მიმღებების დაზღვევა და კომპანიის მიერ გაწეული რომელიმე პირობითი დაზღვევა ადეკვატური ან საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაფაროს ყველა სახის პრეტენზია რომელიც შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ აღიძრას. ნებისმიერ სადაზღვევო დაფარვის დეფიციტს ან სადაზღვევო ვალდებულებების შეუსრულებლობას და ზარალის ანაზღაურებაზე უარს ლიზინგის მიმღებების მხრიდან შეუძლია შეამციროს კომპანიის შემოსავლები ზარალის შემთხვევაში და დაუზღვეველი ვალდებულებები წარმოუქმნას კომპანიას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მის მიერ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების უნარზე.

**კომპანიამ შესაძლოა ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა**

შესაძლებელია, რთული აღმოჩნდეს კომპანიის თანამშრომლების მიერ თაღლითობის (ან სხვა არასათანადო საქციელის, როგორიც არის უნებართვო ბიზნესგარიგებები, მექრთამეობა და შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევა), ან მესამე პირების მიერ დარღვევების, როგორიც არის კანონის დარღვევა, გამოვლენა ან თავიდან აცილება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზიანი კომპანიისთვის და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისთვის სანქციების დაკისრება. ამავე დროს, სერიოზულად დაზარალდება მისი რეპუტაცია. ამან ასევე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კომპანიის უნარზე, ეფექტიანად მოიზიდოს პოტენციური მომხმარებლები, მოიპოვოს მომხმარებელთა ლოიალობა, მიიღოს დაფინანსება ხელსაყრელი პირობებით, მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში და განახორციელოს სხვა ბიზნეს-საქმიანობა.

კომპანიის რისკების მართვის სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და შიდა კონტროლის პროცედურები მიზნად ისახავს, მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის ოპერაციებს და ზოგადად მის შესაბამისობას მოქმედ კანონებსა და რეგულაციებთან. თუმცა კომპანიამ შესაძლოა დროულად ან საერთოდ ვერ მოახერხოს დარღვევების ან საეჭვო გარიგებების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენის გამოვლენა და პრევენცია და ის გამაფრთხილებელი ზომები, რომლებსაც კომპანია ახორციელებს ამგვარი ქცევის თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად, შესაძლოა არ აღმოჩნდეს ქმედითი. ამიტომ კომპანიის წინაშე დგას რისკი, რომ ადრე ჩადენილი ყოფილიყო, მაგრამ არ ყოფილიყო გამოვლენილი თაღლითობა ან სხვა არასათანადო საქციელი, ან რომ ასეთი რამ მომავალში მოხდეს. ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

**კომპანიის წარმატება ბიზნესში დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები.**

კომპანია საქმიანობას ეწევა სულ უფრო კონკურენტულ საბაზრო გარემოში, სადაც აუცილებელია მაღალი დონის სპეციალური ცოდნა სალიზინგო აქტივების ეფექტიანი მართვისათვის. კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მისი უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის და საკვანძო თანამშრომლების განუხრელ მუშაობაზე. კომპანიის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს მის ოპერაციებში. თითოეულ მათგანს აქვს საქართველოს ფინანსურ ან ლიზინგის ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და ისინი კოლექტიურად ფლობენ კომპანიის ბიზნესის ძირითადი მიმართულებების, მომხმარებლებისა და კონკურენტების, ასევე ბიზნესთან დაკავშირებული კანონების შესახებ საფუძვლიან ცოდნას. ამიტომ მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ კომპანიის მიერ წარმატების მისაღწევად აუცილებელი სტრატეგიების ფორმულირებასა და განხორციელებაში. თუმცა უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის წევრებმა და საკვანძო თანამშრომლებმა შეიძლება ნებაყოფლობით შეწყვიტონ კომპანიაში მუშაობა ან დატოვონ თავიანთი პოზიციები ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც სცილდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდიდან რომელიმე წევრის და რომელიმე საკვანძო თანამშრომლის მიერ სამსახურის დატოვებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიის მოქმედების უნარს და დააბრკოლოს ბიზნესისა და ზრდის სტრატეგიების განხორციელებისკენ მიმართული მისი ძალისხმევა. კომპანიამ გონივრულ ვადაში შესაძლოა ვერ მოახერხოს მათი ჩანაცვლება ეკვივალენტური ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით.

კომპანიის საქმიანობის წარმატება ასევე დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური თანამშრომლები მისი ოპერაციების საწარმოებლად. მას ასევე შეიძლება დასჭირდეს მაღალი ანაზღაურების და სხვა სარგოების შეთავაზება საკვანძო თანამშრომლების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად და ანაზღაურება და სარგოები შესაძლოა არაპროგნოზირებადი სახით ან იმაზე უფრო მაღალი ტემპით გაიზარდოს, ვიდრე კომპანიის შემოსავლები. ამას ასევე შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

**არ არსებობს იმის გარანტია, რომ მაკონტროლებელი აქციონერი კვლავაც გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის კონტროლის ცვლილებამ კი შეიძლება არსებითი ხასიათის უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიზინგის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე**

კომპანია ბევრ ასპექტში იღებს მისი 100%-იანი წილის მფლობელის, სს საქართველოს ბანკის მხარდაჭერას.

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით, რომელსაც მომხმარებელთა ფართო წრე და ძლიერი მარკეტინგული რესურსი აქვს. კომპანიის საკრედიტო პოზიციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „საქართველოს ბანკი“. ეს ხელს უწყობს კომპანიის დაფინანსების ხარჯების შემცირებას, დაფინანსების არხების გაფართოებას და განამტკიცებს მის პოზიციას სხვადასხვა გარიგების დადების დროს.

თუ 'საქართველოს ბანკის' მხარდაჭერა კომპანიის მიმართ შეიცვლება, ამან შესაძლოა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს.

**თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, ეს არსებით და უარყოფით გავლენას მოახდენს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე**

კომპანიის შემოსავლები ფინანსური ლიზინგიდან წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს ფინანსური ლიზინგისა და უკულიზინგის საქმიანობიდან. 2020 წლის 31 დეკემბერის და 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის პორტფელი (დებიტორული დავალიანება) შესაბამისად 106,752 და 99,028 ათას ლარს შეადგენდა. სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდაზე/კლებაზე შეიძლება საქართველოს ეკონომიკურმა პირობებმა ან სხვა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა იმოქმედონ, მაგალითად, მშპ-ს ზრდამ/კლებამ, ინფლაციის დონისა და საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ, ისევე როგორც, სალიზინგო კანონმდებლობისა თუ სამთავრობო რეგულაციების ცვლილებებმა. 2020-2021 წლებში არსებულმა პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა კომპანიის პორტფელზე. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას მომავალში.

**კომპანია 2017 წლიდან შევიდა უფრო მაღალრისკიან საცალო ბაზარზე („ტურბო“) და ამ სტრატეგიის წარუმატებლობამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.**

2017 წლის სექტემბერში კომპანია უფრო მაღალშემოსავლიან და ასევე შედარებით მაღალრისკიან საცალო ბაზარზე შევიდა „ტურბო“-ს სახით. ეს არის სწრაფი ლიზინგი ფიზიკური პირებისთვის, რომლებზეც ლიზინგის გაცემა საკმაოდ ზრდის კომპანიის საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთები ამ პროდუქტზე შედარებით მაღალია (საშუალოდ ეფექტური 40%-ზე მეტი), არის იმის რისკი, რომ „ტურბოს“ მომხმარებლების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლოს ლიზინგის შენატანების გადახდა, კომპანიამ ვერ შეძლოს დასაკუთრებული აქტივის სწრაფად გაყიდვა ან ხელახალი ლიზინგი და წაგება ნახოს პორტფელის დიდ ნაწილზე.

2018 წლის სექტემბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვართან დაკავშირებული რეგულაციით, შესაძლებელია მხოლოდ 50%-ზე დაბალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით სესხების გაცემა. მიუხედავად იმისა, რომ ტურბოს არსებული საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 40%-ია, არსებობს რისკი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის დაწესება უარყოფით გავლენას იქონიებს „ტურბოს“ პორტფელისა და მომგებიანობის ზრდაზე.

**დარგები, რომლებშიც კომპანია მონაწილეობს, სულ უფრო კონკურენტული ხდება**

ლიზინგის ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და სულ უფრო კონკურენტული ხდება. მართალია, საქართველოს ლიზინგის ინდუსტრიას განვითარების ჯერ კიდევ დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს შეინარჩუნოს არსებული პოზიციები სულ უფრო ინტენსიური კონკურენციის ფონზე. კომპანიის ზოგიერთ კონკურენტს შესაძლოა ჰქონდეს მეტი ფინანსური და მმართველობითი რესურსები, ვიდრე კომპანიას, ასევე მომხმარებელთა ქსელები და ურთიერთობები, უფრო დაბალი ფინანსური ხარჯები და რისკებისადმი უფრო მაღალი ტოლერანტობა ან რისკების შეფასების იმგვარი განსხვავებული მეთოდები, რომ მათ შეძლონ განიხილონ ან ხელი მიუწვდეთ უფრო მრავალფეროვან ინვესტიციებზე, დაამყარონ მეტი ურთიერთობები და უფრო აქტიურად გააკეთონ ფასების შეთავაზება გასაყიდი აქტივებისათვის. გარდა ამისა, კომპანიის ზოგიერთმა კონკურენტმა შესაძლოა პერსპექტიული ლიზინგის მიმღებებს შესთავაზონ უკეთესი პირობები, ვიდრე კომპანიამ.

კომპანიის საქმიანობა უმთავრესად მოიცავს მშენებლობის, წარმოების და მომსახურების სხვადასხვა ქვესექტორებს. ეს საქმიანობა შესაძლოა შესაბამისი დარგების ეკონომიკური განვითარების ციკლების გავლენის ქვეშ მოექცეს სხვადასხვა ხარისხით. იმ ცვლილებების ტიპი, დრო და ხარისხი, რომლებიც ამა თუ იმ დარგისთვის ჩვეულ პირობებში შეიძლება მოხდეს, უმეტესწილად არაპროგნოზირებადია. იმ შემთხვევაში, თუ დარგში ჩავარდნა მოხდა, არახელსაყრელმა ეკონომიკურმა და საბაზრო პირობებმა შეიძლება შეამციროს მოთხოვნა სალიზინგო მომსახურებაზე, ხოლო კლიენტებში დეფოლტის ზრდა და სალიზინგო აქტივების ხარისხის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

კომპანია ასევე კონკურენციას უწევს მსხვილ კომერციულ ბანკებსა და ფინანსური მომსახურების სხვა პროვაიდერებს საქართველოში. ამ დაწესებულებებმა კომპანიის არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს დაფინანსება შესაძლოა უფრო ხელსაყრელი პირობებით მისცენ. გარდა ამისა, კონკურენტული პირობები შეიძლება შესთავაზონ კონკრეტული სახის ლიზინგის პროდუქტებზე ამ აქტივების დისტრიბუტორებმა/დილერებმაც.

**კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.**

კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესმა, რომლებიც პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებსა თუ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ასევე ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ კომპანიის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა, საკონტრაქტო მოთხოვნამ ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

სასამართლო პროცესის მოპასუხეობა, წარმატებითაც რომ დასრულდეს, დიდ დროსა და ყურადღებას მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, ასევე, საკმაოდ დიდ თანხებს იურიდიული მოსაკრებლების და სხვა თანმდევი ხარჯებისთვის. ბიზნესზე ვრცელდება მარეგულირებელი საქმისწარმოებაც და კომპანიამ შეიძლება მარეგულირებელ საქმისწარმოებაში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების ინტერპრეტაციამ დააზარალოს, მათ შორის იმ მარეგულირებელ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეც ის არ არის. ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

**გაფიცვებმა და სხვა აქციებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების ოპერირება**

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას 79 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ჰყავდა. ამ რაოდენობის ან ხელფასის ნებისმიერი შემცირება სამუშაოს შეფერხებას გამოიწვევს. სამუშაოს შეფერხება ან საოპერაციო პერსონალის მოზიდვასა ან შენარჩუნებაში წარუმატებლობა სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

კომპანიას დღემდე არ ჰქონია შემთხვევა, რომელიც საქართველოს კანონის და შრომის კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად ჩაითვლებოდა გაფიცვად, სასამართლო პროცესად ან საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ნებაყოფლობით უარყოფად.

**ემიტენტის დედა კომპანია სს საქართველოს ბანკის ჯგუფი-ის აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LON: BGEO), რაც შესაბამისად გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული**

ემიტენტის დედა კომპანია „სს საქართველოს ბანკის ჯგუფის" აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშრებული. არსებობს რისკი, რომ მშობელმა კომპანიამ ვერ მოახერხოს ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც რეპუტაციულ რისკს შეუქმნის მას და შესაძლოა უარყოფითად აისახოს ემიტენტზეც, როგორც მის შვილობილზე. ასევე, არსებობს რისკი, რომ ჯგუფზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ბირჟისა თუ ინვესტორების მიერ (მაგ: დათქმები სესხებზე, სხვადასხვა პოლიტიკასთან შესაბამისობა (compliance)) გავლენა იქონიოს ემიტენტზე და მის მაჩვენებლებსა თუ გეგმებზე.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ბანკის ჯგუფის აქციის ფასების ტრენდი (დღის დახურვის ფასი, ბრიტანულ გირვანქა სტერლინგებში) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში:

### 1.3. ფინანსური მდგომარეობა

**საოპერაციო შედეგების განხილვა:**

კომპანია ძირითად შემოსავალს **ფინანსური იჯარიდან** იღებს. 2020 წლის პირველ ექვს თვესთან შედარებით, 2021 წელს ეს შემოსავალი 23%-ით შემცირდა და 13,035 ათასი ლარი შეადგინა. ეს მნიშვნელოვანი კლება ძირითადად გამოწვეულია პანდემიისა და თანმხლები რეცესიის გამო შემცირებული პორტფელით. 2019 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით პორტფელი შესაბამისად 18.1%-ით და 24%-ით არის შემცირებული.

| მოგება-ზარალის ანგარიშგება, ათასი ლარი | 6M21 არააუდირებული | 6M20 არააუდირებული | 2020 აუდირებული | 2019 აუდირებული |
|---|---|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | | | |
| შემოსავალი ფინანსური იჯარიდან | 13,035 | 16,895 | 33,188 | 27,439 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 590 | 311 | 1,122 | 283 |
| **საპროცენტო ხარჯი** | | | | |
| საპროცენტო ხარჯი გამოყენების უფლებით ფლობილ ვალდებულებებზე | (32) | (22) | (54) | (63) |
| სასესხო დავალიანება | (3,815) | (3,767) | (7,932) | (6,143) |
| გამოშვებული ობლიგაციები | (3,228) | (2,932) | (6,067) | (3,995) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **6,550** | **10,485** | **20,258** | **17,520** |
| *წმინდა საპროცენტო მარჟა* | *48.1%* | *60.9%* | *59.0%* | *63.2%* |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი გაცემულ სესხებზე | 173 | (4,201) | (6,959) | (1,595) |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებზე | - | - | 31 | (91) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდეგ** | **6,723** | **6,285** | **13,330** | **15,834** |
| *წმინდა საპროცენტო მარჟა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების ხარჯის შემდეგ* | *49.3%* | *36.5%* | *38.9%* | *57.1%* |
| **სხვა საოპერაციო შემოსავალი** | | | | |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | 1,707 | 1,134 | 3,379 | 2,059 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 6,985 | 388 | 1,257 | 1,075 |
| წმინდა შემოსავალი (ზარალი) ვალუტის კონვერტაციიდან | (1,835) | (3,781) | (4,265) | (532) |
| **სულ საოპერაციო შემოსავალი** | **13,580** | **7,997** | **13,701** | **18,436** |
| სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | (5,300) | (6,675) | (11,816) | (11,054) |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | (1,522) | (1,254) | (2,617) | (2,610) |
| ლიზინგით გაცემის მიზნებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა | (212) | 119 | (3,257) | (883) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **(7,034)** | **(7,809)** | **(17,690)** | **(14,547)** |
| **მოგება დაბეგვრამდე** | **6,546** | **(3,784)** | **(3,989)** | **3,889** |
| *მოგების მარჟა დაბეგვრამდე* | *48.04%* | *-21.99%* | *-11.6%* | *14.0%* |
| მოგების გადასახადი | (1) | (4) | (8) | (22) |
| **წმინდა მოგება** | **6,546** | **(3,788)** | **(3,997)** | **3,867** |
| *წმინდა მოგების მარჟა* | *48.04%* | *-21.99%* | *-11.6%* | *14.0%* |

კომპანიის ეფექტური საპროცენტო განაკვეთები გაცემულ ლიზინგებზე ვალუტების მიხედვით შემდეგია:

| | 30-06-21 | 30-06-20 | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ლარი | 35.62% | 33.34% | 37.75% | 32.83% |
| აშშდ | 27.31% | 24.10% | 22.10% | 22.75% |
| ევრო | 18.58% | 18.46% | 16.20% | 19.12% |

კომპანიის დაფინანსების წყაროები საბანკო სესხები და საჯაროდ გამოშვებული ობლიგაციებია. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მთლიანი პროცენტიანი ვალდებულებების 42.2%-ს ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული სესხები წარმოადგენდა, 11.5%-ს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები, ხოლო დანარჩენ 46.3%-ს გამოშვებული ობლიგაციები.

ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

| | 30-06-21 | 31-06-20 | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ლარი | 11.58% | 11.38% | 11.14% | 11.06% |
| აშშდ | 7.35% | 7.81% | 7.21% | 7.70% |
| ევრო | - | 5.36% | - | 5.12% |

კომპანია მუდმივად ცდილობს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას.

ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის გარდა, კომპანიის საპროცენტო შემოსავალში აისახება დეპოზიტებზე არსებულ ფულზე დარიცხული პროცენტი. ამ ტიპის შემოსავლის ოდენობამ 2021 წლის 6 თვეში 590 ათასი ლარი შეადგინა, რაც აღემატება 2020 წლის იმავე პერიოდის მონაცემს (311 ათასი ლარი). ამ ზრდის მიზეზი პანდემიით გამოწვეული გაზრდილი ლიკვიდობის სტარტეგიაა, რის გამოც კომპანია ბალანსზე ბევრად მეტ ფულად სახსრებს იტოვებს, ვიდრე წარსულში.

**გაუფასურების რეზერვის ხარჯი** ამობრუნდა 2021 წლის პირველ ექვს თვეში და ამობრუნების მოცულობამ 173 ათასი ლარი შეადგინა. ეს უმეტესად გამოწვეული იყო მაღალი გაუფასურების რეზერვის ხარჯით 2020 წლის განმავლობაში: 2020-ის პირველ ექვს თვეში 4,201 ათასი ლარი, ფინანსური იჯარის შემოსავლის 24.9%, 2020 წლის 12 თვის განმავლობაში კი - 6,959 ათასი ლარი, ფინანსური იჯარის შემოსავლის 21%. იგივე მაჩვენებელი საგრძნობლად მცირე - 6% იყო წინა წლის იმავე პერიოდში. 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეული იყო 2020 წლის COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობითა და შექმნილი ეკონომიკური პრობლემებით. შეწყვეტილი ეკონომიკური საქმიანობებიდან გამომდინარე, კომპანიამ მოახდინა კლიენტების სესხების რესტრუქტურიზაცია. გარდა ამისა, გაუარესებული ეკონომიკური პროგნოზებისა და მოლოდინების გამო კომპანიამ გაზარდა რეზერვირების კოეფიციენტი. აღნიშნული ფაქტორების შედეგად მკვეთრად გაიზარდა გაუფასურების რეზერვის ხარჯი და შესაბამისად, მისი ფარდობა საპროცენტო შემოსავალთან.

სხვა საოპერაციო შემოსავალის მნიშვნელოვანი პუნქტია **შემოსავალი ჯარიმებიდან,** რომელიც 2021 წლის პირველ ექვს თვეში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 66,4%-ით გაიზარდა და 1,707 ათასი ლარი შეადგინა. 64% -იანი ზრდა შეიმჩნეობა 2020 წელსაც, 2019 წლის მონაცემთან შედარებით, რაც გამოწვეული იყო 2020 წლის განმავლობაში ვადაგადაცილებების ზრდით პანდემიის გამო.

**სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 21%-ით შემცირდა და 5,300 ათას ლარს გაუტოლდა, **თანამშრომელთა ხელფასები** კი 2021 წლის პირველ ექვს თვეში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 17,6%-ით გაიზარდა.

ამ ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

| 000 ლარი | 6M21 | 6M20 | 2020 |
|---|---|---|---|
| ხელფასი, ბონუსი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | 1,522 | 1,254 | 2,616 |
| დაზღვევის ხარჯი | 3,006 | 4,038 | 6,784 |
| ქონების გადასახადი | 1,000 | 1,150 | 1,934 |
| მარკეტინგის ხარჯები | 91 | 193 | 326 |
| პროფესიული ხარჯები | 336 | 416 | 878 |
| ქირა | 205 | 157 | 368 |
| სხვა ხარჯები | 662 | 721 | 1,527 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **6,822** | **7,929** | **14,433** |

**სადაზღვევო ხარჯები** მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 44,1% იყო და წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 25,6%-ით შემცირდა. ეს ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია პორტფელთან და პორტფელის შემცირების შესაბამისად არის შემცირებული. ზოგადად, სადაზღვევო ხარჯი გარკვეულწილად მერყეობს კონკრეტული სალიზინგო აქტივის პოტენციური მფლობელის მიხედვით.

**ქონების გადასახადი** მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 14% იყო. ეს ხარჯი შედგება ქონების გადასახადისგან, რომელიც იანგარიშება, როგორც ყველა გალიზინგებული აქტივის საწყისი ღირებულების 0.6%. ამ ხარჯის შემცირება პირდაპირ დაკავშირებულია სალიზინგო პორტფელის შემცირებასთან.

**მარკეტინგის ხარჯები** დაახლოებით 2-ჯერ არის შემცირებული, რაც გამოწვეულია პანდემიის პირობებში არსებული ფრთხილი საინვესტიციო პოლიტიკით და მაღალი ლიკვიდობის შენარჩუნების სტრატეგიით.

ამ მუხლში შემავალი სხვა ხარჯები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და არც ინდივიდუალურად არის მატერიალური.

**ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ**

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით **მთლიანი პროცენტიანი ვალდებულებები** 139,672 ათასი ლარი იყო და მთლიანი აქტივების 79,5%-ს შეადგენდა. მთლიანი ვალდებულებების 42,2% შედგებოდა ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული სესხებიდან, 11,5% საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხებიდან, ხოლო 46,3% კი **გამოშვებული ობლიგაციებიდან**.

**ფინანსური კოვენანტების მიმოხილვა**

კომპანიას სხვადასხვა ბანკიდან აღებულ სესხებზე სხვადასხვა ტიპის კოვენანტები აქვს. ძირითადი/ყველაზე მკაცრი კოვენანტები (არასრული/მენეჯმენტის მიერ შერჩეული) და შესაბამისი მაჩვენებლები 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

| კოვენანტის ტიპი | ფაქტობრივი | ლიმიტი | აკმაყოფილებს კი/არა |
|---|---|---|---|
| PAR30 | 5.38% | Max 10.00% | კი |
| PAR90 | 2.79% | Max 5.00% | კი |
| დასაკუთრებული აქტივების კოეფიციენტი | 18.74% | Max 35.00% | კი |
| მიმდინარე კოეფიციენტი | 1.29 | Min 1.00 | კი |
| ლევერიჯი | 7.17 | Max 8.00 | კი |
| ღია სავალუტო პოზიცია | 1.99% | Min -50.00% - Max 50.00% | კი |
| კაპიტალსი ადეკვატურობის კოეფიციენტი 2 | 15.39% | Min 10.00% | კი |

ამასთან, ერთ-ერთ კრედიტორთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები პორთფელის ხარისხის ორი კოვენანტის დონის დადგენაზე. სესხის გაცემის მომენტში მოხდა ამ ორი კოვენანტების გაწერა საკრედიტო ხელშეკრულებაში მათი დონის შემდგომში, კერძოდ 2021 წლის 31 მაისიდან განსაზღვრის და შესრულების პირობით. ჯერ-ჯერობით როგორც ზემოთ არის ნახსენები მიმდინარეობს მოლაპარაკებები კოვენანტების დონის დადგენაზე.

**კომპანიის კაპიტალი**

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **კომპანიის საწესდებო** და **დამატებით შეტანილი** კაპიტალი შეადგენდა 18,527 ათასსა და 18,368 ათას ლარს, შესაბამისად. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ეს რიცხვი მცირედით შემცირდა და 18,494 ათასი ლარი შეადგინა.

2021 წელს 30 ივნისის ჩათვლით **დივიდენდები** კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია და ამ პერიოდში მთლიანი კაპიტალი 10%-ით გაიზარდა და 27,027 ათას ლარს მიაღწია.

**1.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები**

კომპანიამ არსებობის 20 წლის მანძილზე მიღებული გამოცდილებით, მათ შორის კოვიდ-19 პანდემიის წელს მიღებული უმნიშვნელოვანესი გამოცდილებით შეიმუშავა სამომავლო ბიზნეს სტრატეგია და ხედვა. ახალი ბიზნეს მოდელი, რომელიც ამ ხედვის შედეგად ჩამოყალიბდა შედარებით მოქნილი და დახვეწილია: ა) აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენის, ბ) სანდო მომწოდებლის სწორად შერჩევის, გ) არაკეთილსინდისიერი გადამხდელების დროული/სწორი იდენტიფიკაციის, დ) საეჭვო მოთხოვნების ადეკვატური რეზერვების შექმნის და ე) სხვა რისკების სათანადოდ მართვის კუთხით.

არსებული ხარვეზების და ახალი ბიზნეს მოდელის განსახორციელებლად კომპანიამ შეიმუშავა მთელი რიგი ცვლილებები: გადავიდა ახალ, უფრო მეტად სწრაფ და მოქნილ მიდგომაზე რისკების მენეჯმენტის კუთხით, მნიშვნელოვნად გააძლიერა სალიზინგო აქტივების მართვისა და შეფასების გუნდი და შემდგომი მონიტორინგის სამსახური. ამასთან, კომპანიამ აქცენტი გააკეთა პორტფელის დივერსიფიკაციაზე და გაზარდა მომხმარებლების სპექტრი სრულიად ახალ სეგმენტზე გათვლილი პროდუქტების შეთავაზების მეშვეობით.

ამჟამად კომპანიის პორტფელი მოიცავს როგორც ბიზნესის, ისე საცალო მიმართულების სექტორებს. კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის კომპანია მიზნად ისახავს დახვეწოს და დააჩქაროს სხვადასხვა პროცესები. მან შეცვალა დამტკიცების (და რისკების შეფასების) პროცედურა და გადავიდა უფრო სწრაფ და ზუსტ მიდგომაზე - აქტივზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე. აღნიშნული მიდგომის თანმდევი რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიამ ჩამოაყალიბა აქტივების მართვის ძალიან ძლიერი გუნდი, რაც უზრუნველყოფს აქტივების უკეთეს თავდაპირველ შეფასებას, გაუმჯობესებულ მონიტორინგს და სწრაფი რეაგირების პროცესს დეფოლტის შემთხვევაში.

## 2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

### 2.1. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიის კორპორაციული მართვის უმაღლესი რგოლია პარტნიორი და პარტნიორების საერთო კრება ("საერთო კრება"), ხოლო კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც აირჩევა პარტნიორის მიერ კომპანიის წესდების დებულებების შესაბამისად. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორის („მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი“) მიერ, რომელსაც ენიჭება კომპანიის ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წარმომადგენლობის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

ზურაბ ქოქოსაძე (პ/ნ 62001032255) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი / თავმჯდომარე

გიორგი ჭილაძე (პ/ნ 01008008277) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ნიკოლოზ ალავიძე (პ/ნ 59001000119) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამოუკიდებელი პირი)

ლევან ყულიჯანიშვილი (პ/ნ 03001000435) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

**საერთო კრება**

საერთო კრება არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების ("წესდება") თანახმად მიიღოს გადაწყვეტილებები მათ შორის, შემდეგ საკითხებზე:

- ცვლილებები წესდებაში;
- სააქციო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება;
- კომპანიის შერწყმა, გაყოფა ან გარდაქმნა სხვა იურიდიულ პირად, ლიკვიდაცია;
- კომპანიის ქონების, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოების მიერ ლიზინგით ლიზინგის გამცემზე გადასაცემ საგანს, შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარი განკარგვა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- სხვა საწარმოს წილის/აქციების შეძენა და გასხვისება, თუკი ამგვარი წილის/აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი საწარმოს კაპიტალის 50%-ს ან გარიგების ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომელთა ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- კომპანიის მიერ ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გასხვისება, გაცვლა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები) ან დატვირთვა, რომელთა ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების 10%-ს;
  და
- სხვა საკითხები, რომლებიც შედის კანონის და წესდების საერთო კრების კომპეტენციაში.

წესდების თანახმად, საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს საჭიროების შემთხვევაში. პარტნიორებს, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის ხუთ პროცენტს, შეუძლიათ მოსთხოვონ გენერალურ დირექტორს საერთო კრების მოწვევა (ამჟამად ერთი პარტნიორი - სს „საქართველოს ბანკი“ ფლობს საკუთრების 100%-იან წილს). გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილია

ნებისმიერ დროს მიმართოს პარტნიორს გადაწყვეტილების მისაღებად. გენერალურმა დირექტორმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს საერთო კრება ან მიმართოს პარტნიორს გადაწყვეტილებოს მისაღებად, თუ ეს კომპანიის ინტერესებშია ან თუ მოსალოდნელია, რომ კომპანიამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.
საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრებიან პარტნიორები, რომელთა წილი 50%-ს აღემატება. საერთო კრების გადაწყვეტილებები მიიღება უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდების ნებისმიერი ცვლილების დამტკიცებისა, რასაც საერთო კრების მონაწილეთა ხმების მინიმუმ 2/3 სჭირდება. წესდების თანახმად, საერთო კრებამ კომპანიის ყველა პარტნიორის მონაწილეობით უნდა დაამტკიცოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობაც სცილდება კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობას.

**სამეთვალყურეო საბჭო:**
კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და გამოიწვევიან პარტნიორის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება ვადის გასვლის შემდგომ პარტნიორის მიერ ახალი წევრის დანიშვნამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს პარტნიორისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. წევრის გაწვევიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა, უნდა არჩეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს „საზოგადოების" გენერალური დირექტორი.
2020 წლის 5 აგვისტოდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ზურაბ ქოქოსაძე. ამ დრომდე აღნიშნულ პოზიციას იკავებდა გიორგი ფაილოძე, რომელიც ამავდროოულად საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე არის დაგროვილი ქონების მართვისა და საინვესტიციო საბანკო საქმიანობაში.ზურაბ ქოქოსაძეს ფინანსურ სექტორში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს. ის საქართველოს ბანკს 2003 წელს კორპორაციული საბანკო მიმართულების სტაჟიორად შემოუერთდა. მას შემდეგ ბანკში მისმა კარიერულმა განვითარებამ არაერთი მნიშვნელოვანი საფეხური მოიცვა: ის იყო უფროსი კორპორატიული ბანკირი (2006-2009); FMCG სექტორის უფროსი (2009-2016); კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულების დირექტორის მოადგილე (2016-2017) და კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელი, უშუალოდ გენერალური დირექტორის მოადგილის ხელმძღავნელობის ქვეშ (2017-2020).
ზურაბ ქოქოსაძეს ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლაში აქვს მიღებული. ასევე, ფლობს მაგისტრის ხარისხს და არის გრენობლის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებული.
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. შეტყობინება/მოწვევა უნდა გაიგზავნოს წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგთან ერთად სულ მცირე 8 (რვა) დღით ადრე სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა შეიძლება სხდომა ჩაატარონ აღნიშნული შეტყობინების ვადის დაუცველად, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმება ამგვარი სხდომის ჩატარებას და დაესწრება მას. ამგვარ სხდომაზე ყველა წევრის დასწრება ავტომატურად ჩაითვლება მათი თანხმობის მტკიცებულებად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის, აღნიშნული შეტყობინების გაგზავნის ვადის დაუცველად ჩატარებაზე.
სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

- სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გენერალური დირექტორის საქმიანობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს გენერალური დირექტორისაგან „საზოგადოების" საქმიანობის ანგარიში;
- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს „საზოგადოების" ფინანსური დოკუმენტაცია;
- სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს პარტნიორს.;

- თუ „საზოგადოების“ წინაშე ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულება (გასაცემი/დასამტკიცებელი ლიზინგის ჩათვლით) კონკრეტული მომენტისათვის აღემატება 2 000,000 (ორი მილიონი) აშშ დოლარს.
- გენერალური დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
- სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია შექმნას აუდიტის კომიტეტი („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად);
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან/და საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

## კომპანიის დირექტორები

კომპანიის გენერალური დირექტორია ელდარ ახვლედიანი. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის 1-ლი აპრილიდან იკავებს. მას საბანკო სფეროში მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს, საიდანაც 11 წელზე მეტი მუშაობდა სს „საქართველოს ბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე. ბოლო 8 წელი ის სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულებით უმსხვილეს ბიზნეს სექტორებს ხელმძღვანელობდა. მისი პროფესიული კარიერა მოიცავს წლებს, როდესაც საბანკო სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რამაც მას ფასეული გამოცდილება შესძინა ამ სფეროში. ელდარს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბანკო და საფინანსო მიმართულებით.

კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეა გიორგი ჯღარკავა. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ აღნიშნულ პოზიციას 2015 წლის 15 მაისიდან იკავებს. იგი საბანკო სექტორში 2006 წლიდან არის დასაქმებული, 2010 წლის შემდეგ კი სს „კორ სტანდარტ ბანკის“ საკრედიტო, საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურების დეპარტამენტებს ხელმძღვანელობდა. მას აგრეთვე აქვს საკონსულტაციო მიმართულებით მუშაობისა და კრიზისული სიტუაციების მართვის წარმატებული გამოცდილება. გიორგი ჯღარკავამ 2012 წელს მიიღო თავისუფალი უნივერსიტეტისა და BP-ს პროექტების მენეჯმენტის კოლეჯის დიპლომი, 2014 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ხოლო ამჟამად 2020 წლის ოქტომბერში მიიღო IE ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხის მისაღებად აგრძელებს სწავლას.

კომპანიის ფინანსური დირექტორია ნესტან მიქელაძე. იგი კომპანიას 2019 წლის 1 ივლისიდან შეუერთდა. ნესტანს 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს საფინანსო სექტორში. ის „საქართველოს ბანკში“ მუშაობდა 2009 წლიდან 2013 წლამდე კორპორატიული ბანკირის პოზიციაზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან სექტორს ფარავდა. 2013 წლიდან 2019 წლის ივნისამდე ნესტანი სს „გალტ ენდ თაგარტში“ მუშაობდა საინვესტიციო საბანკო მომსახურების დეპარტამენტში ასოცირებული საინვესტიციო ბანკირისა და უფროსი ასოცირებული საინვესტიციო ბანკირის პოზიციაზე. მას ბაკალავრის ხარისხი „კავკასიის ბიზნესის სკოლაში“ აქვს მიღებული 2008 წელს, სადაც 2004 წლიდან სწავლობდა.

## პარტნიორების უფლებები და მოვალეობები

საზოგადოებას ჰყავს ერთი პარტნიორი, სს „საქართველოს ბანკი“

„საზოგადოების“ პარტნიორს გააჩნია და ეკისრება ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.

თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ.

ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონით.

„საზოგადოების“ პარტნიორს აქვს „საზოგადოებაში“ საკუთარი წილის (ან მისი ნაწილის) განკარგვის სრული და შეუზღუდავი უფლება (მათ შორის შეუზღუდავად, გაყიდვის, გაჩუქების, გაცვლის, დაგირავების უფლება).

პარტნიორი, პარტნიორთა საერთო კრების ნებართვით, უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი (წილის ნაწილი) საზოგადოების ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს ან მესამე პირს.

პარტნიორი მესამე პირისათვის საწესდებო ფონდში თავისი წილის (წილის ნაწილის) გადაცემასთან ერთად გადასცემს მას ასეთ წილთან (წილის ნაწილთან) დაკავშირებულ ყველა თავის უფლებასა და მოვალეობას;

პარტნიორები სარგებლობენ პარტნიორის მიერ დასათმობი წილის (წილის ნაწილი) შეძენის უპირატესობით საწედებო ფონდში მათი წილის პროპორციულად.

„საზოგადოების“ პარტნიორს აქვს თავისი წილის პროპორციულად „საზოგადოების“ მოგებიდან დივიდენდის მიღების უფლება.
დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა.

პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის ხუთ პროცენტს, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა ამ კრების მიზნებისა და საფუძვლების მითითებით.

პარტნიორები ერთობლივად აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

„საზოგადოების“ გენერალურმა დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია „საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ და ნება დართოს გაეცნოს „საზოგადოების“ წიგნებსა და ჩანაწერებს.

„საზოგადოების“ პარტნიორი ვალდებულია არ გაახმაუროს „საზოგადოების“ საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია და თავისი ქმედებით ან უმოქმედობით არ შელახოს „საზოგადოების“ იმიჯი ან/და საქმიანი რეპუტაცია.

**აუდიტის კომიტეტი**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტის ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტში უნდა შევიდეს არანაკლებ ერთი სამეთვალაყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის სხვა წევრებს ასევე ნიშნავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტის წევრები არიან:

ზურაბ ქოქოსაძე (პ/ნ 62001032255) - აუდიტის კომიტეტის წევრი
გიორგი ჭილაძე (პ/ნ 01008008277) - აუდიტის კომიტეტის წევრი
ნიკოლოზ ალავიძე (პ/ნ 59001000119) - აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი / თავმჯდომარე
ლევან ყულიჯანიშვილი (პ/ნ 03001000435) - აუდიტის კომიტეტის წევრი

აუდიტის კომიტეტის უფლება-მოვალეებები:

- განსაზღვროს შიდა აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა;
- თვალყური ადევნოს კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუკეთოს მის ფუნქციონირებას
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსგან და გენერალური დირექტორატისაგან;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის კვარტალური მოხსენებები, აუდიტორული შეფასება და რეკომენდაციები;
- ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობას;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამა;
- აუდიტის კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო საგანგებო შემთხვევებში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.
- აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღების კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რომლებსაც კენჭისყრის დროს თავის შეკავების უფლება არ აქვთ.

აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

## 2.2. ფინანსური ანგარიშგების პროცედურები და რისკის მართვა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცედურის მართვას და მონიტორინგს ახორციელებს კოპმანიის ფინანსური დეპარტამენტი. პროცესის საერთო მონიტორინგს ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი (CFO). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წლიური პაკეტის და კვარტალური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ხდება ფასს–ის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი ამზადებს ფინანსური ანგარიშების სრულ პაკეტს, რომელსაც შემდგომ გადახედავს და ამტკიცებს კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი. შემდგომ საინფორმაციო პაკეტები წარედგინება დედა კომპანიის ბიუჯეტირების და ანგარიშგების ჯგუფს, რომელიც განიხილავს ანგარიშებს და ახდენს მათ კონსოლიდაციას ჯგუფის და ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებში.

დედა კომპანიის ფინანსური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებებს განიხილავს დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი, სამეთვალყურეო საბჭო და გარეშე აუდიტორები. ბანკის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს, აუდიტის კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ბანკის და ჯგუფის აუდიტის დეპარტამენტი რეგულარულად გადახედავს ბანკის და ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებს და წარუდგენს ფინანსურ დეპარტამენტს და ჯგუფის ანგარიშგების და ბიუჯეტირების ჯგუფს განსახილველი საკითხებით და გაუმჯობესების რეკომენდაციებით.

## 3. არაფინანსური ანგარიშგება

### 3.1. ბიზნეს პროცესები და პოლიტიკა

**სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა**

კომპანია იყენებს სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (Microsoft Dynamics NAV). აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ლიზინგს, ფასს, საგადასახადო აღრიცხვას და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

**ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა**

კომპანიას აქვს ბიზნესის უწყვეტობისა და უბედური შემთხვევისგან აღდგენის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პროცედურებსა და იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომელმაც კრიზისული სიტუაციის დაფიქსირების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს კომპანიის კრიტიკული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის შენარჩუნება, ხოლო შეჩერების შემთხვევაში უმოკლეს ვადაში მათი აღდგენა.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმის არსებობა და მისი რეგულარული ტესტირება კომპანიისთვის არის გარანტი იმისა, რომ კრიზისულ სიტუაციებში თავიდან იქნება აცილებული გაუთვალისწინებელი სირთულეები და კომპანია შეძლებს დაკისრებული ფუნქციების და საქმიანობის მოკლე პერიოდში აღდგენას და შეუფერხებელ შესრულებას.

კომპანიის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დოკუმენტში აღწერილი პრინციპები ეფუძნება ბიზნეს უწყვეტობის მართვის ISO22301 სტანდარტს.

აღნიშნული გეგმა მოიცავს გლობალურ და ლოკალურ საფრთხეების.

გლობალური საფრთხეებად მიჩნეულია შემდეგი მოვლენები: საომარი მდგომარეობა, სტიქიური უბედურებები, პანდემია, სხვა მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხებები.

ლოკალურ საფრთხეებად მიჩნეულია ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის შიგნით და არ სცილდება კომპანიის ფუნქციონირების არეალს. ასეთებია: ხანძარი, მძევლად აყვანა, დანაღმვა, მომწამვლელი გაზი, გაფიცვები, საბოტაჟი, სრულიად საიდუმლო და მკაცრად კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა/მოპარვა, კიბერ შეტევა, IT სისტემების და პროგრამების გათიშვა და სხვა მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხებები.

ბიზნესზე ზემოქმედების ანალიზის შედეგად, ხორციელდება ბიზნეს პროცესების რისკების შეფასება და მათი კრიტიკულობის დადგენა.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმით განსაზღვრულია კრიტიკული ობიექტებისათვის მათში განთავსებული ბიზნეს ფუნქციებისათვის სარეზერვო ლოკაციით მათი უზრუნველყოფის გეგმა.

კრიზისის მართვის კომიტეტი შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკის შესაბამისად და პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე. აღნიშნული კომიტეტი ვალდებულია:

- შეაფასოს მიმდინარე მოვლენა როგორც კრიზისული სიტუაცია;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედებაზე;
- მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის თანამშრომლების ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედების თაობაზე;
- მართოს კომპანია კრიზისულ სიტუაციაში;
- დაამყაროს კონტაქტი სახელმწიფო სტრუქტურებთან;
- მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ლოკაციის ამოქმედების შესახებ;

- შექმნას საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი;
- მიაწოდოს ინფორმაცია შექმნილ სიტუაციაზე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა მოიცავს რეაგირების რამდენიმე ფაზას:

- მოვლენის დაფიქსირება და მისი კვალიფიკაცია კრიზისულ სიტუაციად;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედებაზე გადაწყვეტილების მიღება;
- BCP გეგმის ამოქმედებისათვის მომზადების პერიოდი;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის მოქმედების პერიოდი;
- სრული აღდგენის ფაზა, ძირითად პროცესზე სრული დატვირთვით გადასვლა;

## სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა

კომპანიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სალიზინგო აქტივების ეფექტურ მართვას, რისთვისაც კომპანიას ყავს მაღალკვალიფიციური გუნდი და შემუშავებული აქვს ეფექტური პროცესები სალიზინგო აქტივების მიმართულებით რისკიანობის მაქსიმალურად დაბალ დონეზე შესანარჩუნებლად.

კომპანიის სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა შემდეგნაირია:

- ყველა აქტივი ფასდება ინდივიდუალურად, ლიზინგის გაცემამდე
- ლიზინგის გაცემის შემდეგ ხდება აქტივების მონიტორინგი - 6 თვეში ერთხელ, რიგ შემთხვევებში (კომიტეტის გადაწყვეტილებით) ნაკლები პერიოდულობით. გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რადგან არ არის ხშირად გადამოწმების საჭიროება თუ კლიენტს ყოველთვიური გადასახადის გადახდის შეფერხება არ აქვს
- ყველა აქტივი სურათდება და მონიტორინგის აქტებთან ერთად ინახება კომპანიაში
    - მონიტორინგის დროს ასევე ხდება პრობლემის დაფიქსირება ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგ.: თუ კლიენტი არღვევს ექსპლუატაციის პირობებს, თუ აქტივი მოსალოდნელზე გაცილებით უარეს მდგომარეობაშია და ა.შ.
- ლიზინგის გაპრობლემების შემთხვევაში, ჩამორთმეული აქტივი სურათდება, აღიწერება და გადადის საწყობში
- ყველა აქტივი დაზღვეულია (მათ შორის რისკიან კლიენტებზე აქტივები დაზღვეულია „გაუჩინარების რისკზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ 3 თვეში ვერ მოხდება აქტივის მოძიება, სადაზღვეო კომპანია ანაზღაურებს მთლიან თანხას)

## ლიზინგის პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიას შემუშავებული აქვს პროცედურები პროექტების დამტკიცებისა და გაცემისთვის, პროექტების მონიტორინგისთვის, რეზერვების შექმნისთვის, ვადაგადაცილებული გადასახადების მართვისთვის, აქტივების ჩამორთმევისთვისა და ყველა მნიშნელოვანი პროცესისთვის რაც კოპმანიაში მიმდინარეობს. ეს პროცედურები ჩამოყალიბებულია კომპანიის მიერ მიღებულ შიდა დოკუმენტებში.

*პროექტის დამტკიცებისა და გაცემის პროცედურა* შემუშავდა მომხმარებლის უკეთ მომსახურების, მომსახურების სტანდარტიზაციის და საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ეს პროცედურა მოიცავს შიდა და სამეთვალყურეო ზედამხედველობას, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას და რამდენიმე საფეხურიან კონტროლს, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები ან / და თაღლითობა.




*შენიშვნა: კომპანიის სალიზინგო პროგრამული უზრუნველყოფა "Microsoft Dynamic NAV" შექმნილია მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, „ერნსტ & იანგის" რეკომენდაციით, სათანადო პროცესების გაუმჯობესების, მეტი სტანდარტიზებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით.*

***პროექტის მონიტორინგის პროცედურა*** ორი კომპონენტისგან შედგება:

- ლიზინგის ***ფინანსური მონიტორინგი***, რომელიც შერჩევით და იშვიათად გამოიყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემს ეჭვები აქვს ლიზინგის მიმღების ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვან რისკებს ხედავს ლიზინგის დაფარვის კუთხით. აღნიშნული მონიტორინგი ითვალისწინებს გირაოების, საგადასახადო ვალდებულებების, გაყიდვების მონაცემების შემოწმებას და სხვა. ფინანსურ მონიტორინგს ლიზინგის მენეჯერი ატარებს კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად;
- ***ტექნიკური მონიტორინგი*** მიზნად ისახავს უზრუნველყოს სალიზინგო აქტივების მდგომარეობის გადამოწმება და მათი მიმდინარე ღირებულების დადგენა. ლიზინგის აქტივის მონიტორინგი ტარდება ყოველ 6 თვეში ერთხელ (არის გამონაკლისებიც როდესაც მონიტორინგი ტარდება უფრო მაღალი სიხშირით) ლიზინგის დაწყებიდან თუ საგანგებო გარემოებების გამო არ გახდება საჭირო დაუგეგმავი მონიტორინგის ჩატარება. მონიტორინგი, როგორც წესი, გაუფრთხილებლად ტარდება, ხოლო ლიზინგის გამცემის წარმომადგენელს გარანტირებული წვდომა აქვს აქტივზე, რაც უზრუნველყოფილია ლიზინგის ხელშეკრულების პირობებით. ტექნიკურ მონიტორინგს კომპანიის ექსპერტთა ჯგუფი ატარებს.
    - *ფიზიკურ პირებზე გაცემულ ლიზინგებზე არ ხდება აქტივების (მსუბუქი ავტომობილების) მონიტორინგი.*

***ვადაგადაცილებული პორტფელის მართვის პროცედურა*** ადგენს ვადაგადაცილებული გადახდების მართვის წესებს, შესაბამის ზომებს და ხაზს უსვამს ადრეული რეაგირების და ლიზინგის მიმღებთან მჭიდრო ურთიერთქმედების მნიშვნელობას, რომ შემცირდეს ტექნიკური, ფინანსური და სასამართლო დავების რისკები.

თავდაპირველად ლიზინგის მენეჯერი ურეკავს ლიზინგის მიმღებს და ატყობინებს გადახდის შესახებ გადახდის თარიღამდე 1 ან 2 დღით ადრე. (ავტომატური SMS შეტყობინების სისტემა 2018 წლის მეოთხე კვარტალში დაინერგა) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ახორციელებს სათანადო გადახდას კომპანია შემდეგ პროცედურებს მიმართავს:

| ვადაგადაცილების დღიური მონიტორინგი | დღეები | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 30 | 35 | 40 | 45 | 50 | 55 | 60 | 65 | 70 | 75 | 80 | 85 | 90 | 95 | 100 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიზინგის გამცემი აგზავნის ფორმალურ წერილს ლიზინგის მიმღებთან ვადაგადაცილებული გადასახადის შესახებ | 3-5 დღე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლიზინგის მიმღები იღებს ყოველდღიურ შეხსენებას ვადაგადაცილებული გადახდებთან დაკავშირებით | 1-45 დღე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლიზინგის მენეჯერი მუშაობს ლიზინგის მიმღებთან რათა გამოიკვლიოს ვადაგადაცილების მიზეზები | 5 -45 დღე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| პრობლემური ლიზინგის პორტფელის მენეჯერი იწყებს მუშაობას შემთხვევაზე | 45-90 დღე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლიზინგის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას რომ დაიბრუნოს აქტივი | 90 + დღე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*რეზერვირების პროცედურა*

კომპანიის სალიზინგო მოთხოვნების რეზერვირების მეთოდოლოგია სრულად ეფუძნება საერთაშორისო ფინანსური რეპორტინგის სტანდარტებს (IFRS 9), რაც გულისხმობს, რომ მეთოდოლოგია და კალკულაცია დამოკიდებულია სამომავლო დაშვებებსა და ტენდენციებზე.

რეზერვირების მიზნებისთვის კომპანია სალიზინგო პორტფელს ყოფს 2 ნაწილად (იურიდული და ფიზიკური პირები), რომლებიც თავის მხრივ ასევე ორ-ორ კატეგორიად იყოფიან:

- იურიდიული პირები:
  - სამშენებლო სექტორი;
  - იურიდული პირები. გარდა სამშენებლო სექტორისა;
- ფიზიკური პირები:
  - ტურბო;
  - ფიზიკური პირები, გარდა ტურბოსი;

ოთხივე კატეროგირიისთვის კომპანია იყენებს კოლატერალიზირებულ მიდგომას, რაც ნიშნავს, რომ თითოეული სალიზინგო პროექტისთვის კომპანია აფასებს გალიზინგებული აქტივის ღირებულებას და ადარებს ლიზინგის დებიტორულ დავალიანებას, მათ შორის სხვაობას კი ამრავლებს პროექტის დეფოლტის ალბათობაზე.

პროექტის დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება ხდება უკანასკნელი სამი წლის სტატისტიკით, რაც თავისმხრივ კორექტირდება სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობით. რეზერვირების მიზნებისთვის ოთხივე კატეგორიის დეფოლტის ალბათობის დათვლის პრინციპი არის მსგავსი, თუმცა განსხვავდება სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისად მიღებული დეფოლტის ალბათობებიც.

სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობის დათვლა ხდება ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით. კერძოდ, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის, ხდება კორელაციის დადგენა ისტორიული დეფოლტის ალბთობასა და მაკროეკონომიკურ შედეგებს შორის. მიღებული კორელაციისა და პროგნოზირებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით დგინდება სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალიზინგო პორტფელის რეზერვმა შეადგინა 3,951 ათასი ლარი, (2019: 2,415 ათასი ლარი), 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კი 2,337 ათასი ლარი (ეს რიცხვი გამოყვანილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ და დაფუძნებულია სუბიექტურ დაშვებებზე. ამ რიცხვის გადამოწმება აუდიტორის მიერ არ მომხდარა). მიუხედავად პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისისა, კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში ჩამოწერა 40 მილიონ ლარამდე ღირებულების მოთხოვნები, რის შედეგადაც შემცირდა სალიზინგო პორტფელის რეზერვი.

*აქტივებიზე საკუთრების უფლების აღდგენის პროცედურა*

აქტივზე საკუთრების უფლების აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღებს აღარ შეუძლია გადახდა და ლიზინგის გამცემი (კომპანია) გადაწყვეტს, რომ აღიდგინოს აქტივზე საკუთრების უფლება.



### 3.2. ჩვენი გუნდი

ანგარიშგების თარიღისათვის დასაქმებულია 79 თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ.

კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს. ასევე კომპანიისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ღია კომუნიკაცია მენეჯმენტსა და საშუალო და დაბალი რგოლის თანამშრომლებს შორის, რაც უფრო მეტად ზრდის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

**ჯანსაღი გარემო შრომისთის**

კომპანია, როგორ ბიჯეო ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომელბისა და მომხარებლების პერსონალურ მონაცემებს. რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. ასევე ახორციელებს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სოციალური, გარემოს დაცვის და ადამიანის უფლებების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოსა და ცვლილებებთან თანხვედრას.

**ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე**

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

**კორუფციასთან ბრძოლა**

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

**ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები**

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხსიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერლური დირექტორი.

ელდარ ახვლედიანი

გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“